სექტემბერი
2023

www.democracyresearch.org

# საინფორმაციო ბიულეტენი

## დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

## DRI -ის საქმიანობა სექტემბერში

- ულტრამემარჯვენე ჯგუფების გავლენები პოლიტიკურ დღის წესრიგზე
- ნათია ბახტაძის მკვლელობა - ფემიციდი და ქალთა უუფლებობა აფხაზეთში
- DRI: სებ-ის უკანონო ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს
- DRI: ფარცხალაძის საქმეზე ხელისუფლების რეაგირება შეუთავსებელია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან
- სანქცირებული ფარცხალაძე - რუსული აგენტურის კვალი ქართულ პოლიტიკაში
- ცხინვალის შერჩევითი მობილობის პოლიტიკა კორუფციის და ახალგორელების დისკრიმინაციის წყარო
- DRI: „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ შემოსავალი, შესაძლოა, ბევრად მეტია, ვიდრე ოფიციალურ წყაროებში ჩანს
- DRI: 2 ივნისის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს პოლიციელთა თვითნებობის წახალისებას და უხეშად ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას
- DRI პარლამენტში შინაგან საქმეთა მინისტრის გამოსვლას აფასებს









## DRI-ის კოალიციური საქმიანობა

როგორ მიდის საქართველო ევროკომისიის 12 პირობის შესრულებისკენ სტატუსმეტრი 6.0 - საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბოლო შეფასება

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბოლო შეფასებით, სრულად არის შესრულებული ერთი პირობა; მეტწილად შესრულებულია ორი პირობა; ნაწილობრივ შესრულებულია შვიდი პირობა და კვლავ შესასრულებელია ევროკავშირის ორი პირობა (დეოლიგარქიზაცია და დეპოლარიზაცია). სამოქალაქო საზოგადოების შეფასებები დიდწილად თანხვედრაშია ევროკავშირის მიერ 2023 წლის ივნისში წარმოდგენილ შუალედურ შეფასებასთან.






## DRI -მ სექტემბერში ორი ანგარიშის პრეზენტაცია გამართა

- უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები
- ანტიგენდერული რიტორიკა და გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული დეზინფორმაციული კამპანია საქართველოში







